

## სახაზინო სამსახურის

### ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს 2018 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 6 603 282.6 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 937 699.7 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 63 639.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 49 300.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 552 643.3 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-ივლისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (5 937 699.7 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (7 465 713.2 ათასი ლარი) 79.5%; მათ შორის:

გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 6 880 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 5 377 335.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 78.2%; მათ შორის:

„გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 575 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 160 239.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.9%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 073 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 680 810.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 81.1%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (479 428.8 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (502 000.0 ათასი ლარი) 95.5%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 14.2 ათასი ლარი.

„გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 278 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 317 302.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 77.5%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 218 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 545 277.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 79.1%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 772 024.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 060 000.0 ათასი ლარი) 72.8%-ია;

„გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 43 500.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 44 218.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.7%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ივლისში შეადგინა

-144 439.7 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდის გაუქმებისა და გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 308 293.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 270 450.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.7%-ია; მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა მინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 62 653.4 ათასი ლარი;

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი - 137 680.1 ათასი ლარი;

- „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი - 30 873.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 7 384.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

- „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 31 858.8 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 1 147.3 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 276 920.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 289 914.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 104.7%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 5 696.7 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-ივლისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (63 639.4 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (39 000.0 ათასი ლარი) 163.2%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (59 486.5 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (35 500.0 ათასი ლარი) 167.6%;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (4 142.7 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (3 500.0 ათასი ლარი) 118.4%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 872.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 193.6%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 270.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (1 500.0 ათასი ლარი) 18%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 49 300.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (44 000.0 ათასი ლარი) 112%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 552 643.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის ( 1 100 782.0 ათასი ლარი) 50.2%-ია; მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 83 575.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (230 693.0 ათასი ლარი) 36.2%-ია;

- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 469 067.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (870 089.0 ათასი ლარი) 53.9%-ია; მათ შორის:

- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 282 149.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (645 089.0 ათასი ლარი) 43.7%-ია; მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 147 300.7 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 134 848.9 ათასი ლარი.

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186 918.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (225 000.0 ათასი ლარი) 83.1%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 75 035.6 ათასი ლარი, რომელიც ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ, ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების

შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-ივლისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში, ასახული იქნა წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 693.5 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება**

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ -გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 აგვისტოსთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 798 064.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 797 003.3 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 1 061.2 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 900 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 240 092.0 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 937 699.7 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 7 465 713.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 5 161 693.6 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 7 014 182.2 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 776 006.1 ათასი ლარი, ცხრა თვის გეგმა 451 531.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 594 326.3 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 63 639.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 657 965.6 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 181 679.9 ათასი ლარი, ცხრა თვის გეგმა -664 348.4 ათასი ლარი (უარყოფითი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის №481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 990 958.4 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 8 234 826.2 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 756 132.2 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 7 445 361.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 6 363 190.7 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 5 992 835.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 370 355.5 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 85.5%-ს, ხოლო გეგმის 70.8%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-ივლისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 94.2%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 5.8%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 041 067.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 999 938.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 783 522.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 78.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 75.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 945 068.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 741 060.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 657 331.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 88.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 69.6%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 403 144.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 388 864.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 328 454.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.5% და ვალდებულების 84.5%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 152 880.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (181 169.5 ათასი ლარი) 84.4%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 175 574.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (207 695.0 ათასი ლარი) 84.5%-ს შეადგენს;

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 335 017.1 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 261 115.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ 250 405.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.9%-ს და გეგმის 74.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 35 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33 566.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.9% და ვალდებულების (33 569.9 ათასი ლარი) 99.98%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 799 084.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 535 024.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (544 653.5 ათასი ლარი) 98.2% და საგეგმო მაჩვენებლის 67%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-ივლისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 496 691.3 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (500 897.3 ათასი ლარი) 99.2%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-ივლისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 966 075.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 411 414.2 ათასი ლარი) 81.5% და საგეგმო პარამეტრის (2 664 209.1 ათასი ლარი) 73.8%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 851 830.0 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 409 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 76.1%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 997 323.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 291 631.2 ათასი ლარი) და გეგმის 77.2%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 503 149.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 373 654.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.3% და ვალდებულების (502 666.5 ათასი ლარი) 74.3%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 689 140.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 523 235.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 75.9% და ვალდებულების (523 956.1 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 826 591.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 703 758.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 640 880.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და გეგმის 77.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 439 538.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 387 119.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (439 538.3 ათასი ლარი) და ვალდებულების (439 528.3 ათასი ლარი) 88.1%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 154 879.4 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 670 798.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 657 965.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.1%-ს და გეგმის 57%-ს შეადგენს; მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 542 768.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 244 637.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (243 880.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.7% და საგეგმო მაჩვენებლის – 44.9%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 237 982.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 146 486.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 135 623.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.6%-ს და გეგმის 57%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 583 914.6 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 577 270.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 407 908.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 70.7% და გეგმის 69.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 17 082.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (27 082.0 ათასი ლარი) 63.1%-ია.

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 390 826.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (550 188.6 ათასი ლარი) 71%-ია;

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად (პირდაპირი ჩარიცხვები).

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 16 648.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 303.8 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 14 471.6 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“- 601.1 ათასი ლარი;
- „რეგიონალური განვითარების პროექტი (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი)“- 1 237.1 ათასი ლარი;
- „ქუთაისის წყალარინების პროექტი“- 35.1 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2018 წლის პირველი აგვისტოსთვის შეადგინა 147.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 5 819 659.2 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 065 582.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 1 505 993.3 ათასი ლარი) 70.8%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 195 909.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (271 263.7 ათასი ლარი) 72.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 331 400.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (416 563.2 ათასი ლარი) 79.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 31.1%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 566 477.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 429 669.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (5 819 659.2 ათასი ლარი) 7.4%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 845 015.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 617 962.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 73.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.6%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 340 444.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (453 369.5 ათასი ლარი) 75.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (67 704.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (96 989.1 ათასი ლარი) 69.8%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების



დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 76 126.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 764.9 ათასი ლარი) 74.8%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 113 160.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 616 974.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 55.4%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (27 558.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (47 658.1 ათასი ლარი) 57.8%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (102 636.1 ათასი ლარი), გეგმის (137 928.9 ათასი ლარი) 74.4% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 690 029.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 332 787.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 48.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 52 309.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 38 843.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 74.3%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 25 440.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 601.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 53.5%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 3 574.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2 764.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 77.3%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 821 424.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 608 349.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 74.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.5%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 574 326.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (451 956.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 78.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (92 229.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (118 374.9 ათასი ლარი) 77.9%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 19 324.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (42 847.0 ათასი ლარი) 45.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 193 874.6 ათასი ლარით, რაც 2018 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (270 308.0 ათასი ლარი) 71.7%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 43 115.1 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (33 543.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 77.8%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 920 328.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 743 246.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 80.8% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 12.8%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 391 928.9 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (448 651.5 ათასი ლარი) 87.4%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 109 434.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (117 188.9 ათასი ლარი) 93.4%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 2 048 603.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 491 554.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური

მაჩვენებელის 72.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.6%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 314 468.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 014 445.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 77.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 380 999.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (516 507.3 ათასი ლარი) 73.8%-ია.

### **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდაათ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 717.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 911.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 806.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათექვსმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 23 150.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 20 014.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 135.4 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

### **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ რვა შემთხვევაში შეადგინა სულ 50 973.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 46 487.0 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 4 486.7 ათასი ლარი.

## მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 491.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 134.7 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 4 356.3 ათასი ლარი.

### წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 29 000.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 44 062.4 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 14 111.3 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 14 111.3 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14 000.0 ათასი ლარი. აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 81.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 81.0 ათასი ლარი), თავდაცვის სამინისტროს 229.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 229.6 ათასი ლარი), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერებისთვის გამოიყო 232.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 232.6 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 13 456.8 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 2 983.5 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა შეადგინა 26 424.3 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა – 1 386.1 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ კრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 2 983.5 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.